

## ზედსართავი სახელის ნაჩოქა გეგმადან მომდინარე მა-ზე დასრულებულ არსებით სახელთაგან

მა-ზე დასრულებულ ბერძნულ არსებით სახელთაგან ზედსართავთა წარმოქმნისას ჩნდება სადავო საკითხები.

ერთ შემთხვევაში ბერძნულიდან შემოსულ სახელს უშუალოდ ემატება -ურ სუფიქსი და ვიღებთ: (პროგრამა + -ურ =) პროგრამული, (ეპიგრამა + -ურ =) ეპიგრამული...

მეორე შემთხვევაში აღებულია ბერძნული სახელის ფუძე ატ ელემენტით და მას ერთეის იგივე -ურ ბოლოსართი, ვიღებთ:

**პრობლემა — პრობლემატ: პრობლემატ-ურ-ი**

**სისტემა — სისტემატ: სისტემატ-ურ-ი**

შესაძლებელია ამთ პარალელურად, რუსული ენის გავლენით, ი-ურ სუფიქსიანი ფორმებიც გვხვდებოდეს: პრობლემატიური, სისტემატიური, სქემატიური და სხვ.

პირველ ყოვლისა ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფუძისაგან ვაწარმოთ -მა ელემენტთან სიტყვათაგან ზედსართავი სახელი: ვაწარმოთ ის ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუძისაგან, თუ თვით ბერძნული არსებითი სახელის ფუძისაგან. თუ საფუძვლად დავუდებთ ქართულში დამკვიდრებულ არსებით სახელებს, მაშინ მივიღებთ: დრამა — დრამ-ული, სისტემა — სისტემ-ურ-ი, სქემა — სქემ-ურ-ი...

მეორე მხრივ, თუ ამოსავლად მივიჩნევთ ბერძნული არსებითი სახელის ფუძეს დრამატ-, სისტემატ- და სხვას, მაშინ კითხვა ისმის: როგორ ვწეროთ: დრამატული თუ დრამატიული? სისტემატური თუ სისტემატიური და სხვ.

ამ არსებით სახელთაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები ძველ ქართულში არ გვხვდება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სიტყვას „დრამატიკოსობა“, რომელიც ყაჯმაჯ-სგან კი არ არის ნაწარმოები, არამედ მზა სიტყვისაგან ყაჯმაჯ-იქი. არის კიდევ ერთი სიტყვა, სადაც უსუფიქსიანი ფორმა შემოსული: „დრამატურგია“, მაგრამ აქაც მზა არსებითი სახელია საფუძველი ნეჯაჯი-ს და არა ნეჯაჯ, ნეჯაჯი-ს.

მეორე საკითხი უკვე გადაწყვეტილია (იხ. ზემოთ: „ზედსართავ სახელთა წარმოება ნასესხებ სიტყვათაგან -ურ ბოლოსართით“): მიღებულია გარკვეული წესი, რომ უნდა იწერებოდეს კონკრეტული და არა კონკრეტიული, აბაოლუტური და არა აბსოლუტიური; ცხადია, ეს წესი გავრცელდება აქ წარმოდგენილ შემთხვევებზედაც და ამდენად ყველგან -ურ სუფიქსი იქნება გამოყენებული.

საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ფუძე ავიღოთ ამოსავლად, აკრთვე ყუდმა თანახმად საერთო წესისა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: როდესაც ქართულში უცხოური არსებითი სახელია შემოსული, ზედსართავი სახელის წარმოებისას ამოსავლად ქართულში დამკვიდრებული არსებითი სახელის ფუ-

ძე უნდა იქნეს აღებული. ამდენად, ბერძნული არსებითი სახელის ფუძის გამოყენებაზე ამოსავლად ხელი უნდა ავიღოთ. მაშასადამე, ზედსართავი უნდა ვაწარმოოთ არა დრამატ ფუძისაგან, არამედ დრამა ფუძისაგან. ამის მიხედვით გვექნება: დრამა — დრამული, პრიზმა — პრიზმული, სისტემა — სისტემური, სქემა — სქემური, ეპიგრამა — ეპიგრამული, ტრავმა — ტრავმული და სხვ. მაგრამ, თუ ნასესხებია ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამისი მა დაბოლოებულიანი არსებითი სახელები ქართულში არ მოიპოვება, მაშინ ზედსართავი ქართულში ფორმდება რუსული გზით მიღებული ზედსართავის ფუძისაგან: პნევმატური (пневматический), პრაგმატული (прагматический), სომატური (соматический)...

არ არის აგრეთვე გამორიცხული, რომ წარმოების დასაყრდენად საერთოდ მიღებულ იქნეს უცხო ზედსართავის ფუძეც; თუ ეს წარმოება სალიტერატურო ენაში გაბატონებულია, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ნასესხები არსებითი სახელის ფუძისაგან ზედსართავის კანონზომიერი წარმოება პარალელურად სავსებით დასაშვებია. გარდა ამისა, ფართოდ უნდა გაეხსნას გზა, ერთი მხრით, სხვა აფიქსებით წარმოებას, ხოლო, მეორე მხრით, ნათესაობითი ბრუნვის ფორმის გამოყენებას უცხოური ზედსართავის გადმოსაცემად (პრობლემა — პრობლემური, სპრობლემო, პრობლემატური; დრამა — დრამული, დრამატული და დრამის; დრამის თეატრი).